# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.587)

15–22 ივნისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „ფერმერებს მოსავლის გადარჩენაში ვეხმარებით“





უკვე თვეზე მეტია, დედოფლისწყაროში იტალიურ კალიას ებრძვიან. საშიში ზონა ტარიბანის ველია, სადაც მავნებლის ჯოგური ფორმა ნათესებს განადგურებით ემუქრება. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კალიების წინააღმდეგ წამლობის სახელმწიფო პროგრამა აამოქმედა.

14 ივნისს დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია სტუმრობდა. მისი ვიზიტის მიზანს იტალიური და მაროკოული კალიების ჯოგური ფორმით გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. მინისტრი პირდაპირ შირაქის ველისკენ გაეშურა და ე.წ. შირაქის აეროდრომის ტერიტორიიდან კალიების ავიაციით შეწამვლის პროცესს თავად დაესწრო. სპეციალისტების განმარტებით, კალიის ასეთი მასშტაბური ფორმით გავრცელება საფრთხეს უქმნის ნათესებს, ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტს დღეს კალიების წინააღმდეგ წამლობა წარმოადგენს: „თვეზე მეტია, ჩამოსულია მობილური ჯგუფები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ინტენსიურად აწარმოებენ ბრძოლას იტალიური კალიის წინააღმდეგ“ - ამბობს ჩვენთან საუბარში სურსათის უვნებლობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ზურაბ ჩეკურიშვილი.

კალიების წინააღმდეგ წამლობის სახელმწიფო პროგრამას მინისტრი დადებითად აფასებს და თვლის, რომ ამ პროგრამის გარეშე ფერმერებს ძალიან გაუჭირდებოდათ:

„თქვენ იცით, რომ მიგრაციული კალია არის მავნებელი, რომელიც საშიშია მწვანე საფარისთვის, განსაკუთრებულ საშიშროებას კი წარმოადგენს მოსავლისთვის, ნათესი ფართობებისთვის. ამჟამად მიმდინარეობს შეწამვლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დაიწყო 16 მაისს და დღემდე გრძელდება. რამდენიმე დღეა, ავიადამუშავების პროცესიც მიმდინარეობს. შეწამვლა ექვს მუნიციპალიტეტში წარმოებს, მათ შორის დედოფლისწყაროში. სულ დასამუშავებელია 15 000 ჰექტარი, უკვე დამუშავდა 8800 ჰა. სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რომ ქართველ ფერმერებს მოსავლის გადარჩენაში დაეხმაროს და იტალიურმა კალიამ ტარიბანიდან შირაქის ველზე არ ამოაღწიოს“- განაცხადა შალვა ფიფიამ.

ინგა შიოლაშვილი

## სამთაწყაროელებმა ზეთისხილის პლანტაციებში საქონელი შეუშვეს

დედოფლისწყროში გამართული გამაფრთხილებელი აქციის შემდეგ სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობამ მუქარის ასრულება დაიწყო. აქციის მონაწილეებმა 10 ივნისს, მათთვის ჩამორთმეული ამჟამად კომპანიის კუთვნილი ნაკვეთიდან დარაჯისთვის განკუთვნილი ვაგონი ტერიტორიის გარეთ გაიტანეს და ზეთისხილის პლანტაციაში საქონელი შეუშვეს.

ადგილზე პოლიცია მობილიზებული იყო, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ამავე თემაზე საპროტესტო აქცია ორიოდე დღის წინაც გაიმართა. სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობის თქმით, 280 ჰექტარი მიწის ფართობი მათ 49 - წლიანი იჯარით ჰქონდათ აღებული, თუმცა, წინა ხელისუფლებამ აუქციონის წესით 2011 წლის დეკემბერში კომპანია „ოლივ გრინს“ მიჰყიდა, რომელმაც თავის მხრივ ზეთისხილის პლანტაცია გააშენა.

მოსახლეობა დახმარებას ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვს, კერძო კომპანიას კი ტერიტორიის დასატოვებლად ერთი კვირის ვადას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამთაწყაროელები ზეთისხილის პლანტაციის აჩეხვით იმუქრებიან.



აქციაზე კომპანიის წარმომადგენელიც მივიდა, რომელმაც სამთაწყაროელებს დავის გაგრძელება კანონიერი გზით შესთავაზა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობამ კუთვნილი მიწების დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო აქცია საქონლის შეშვებამდე რამდენიმე დღით ადრეც გამართა.

ადგილობრივების თქმით, წინა ხელისუფლებამ მიწა უკანონოდ გაასხვისა.

კომპანია „ოლივ გრინის“ ხელმძღვანელის დიმიტრი ანთაძის თქმით, მათ მიწის ფართობი კანონიერად შეიძინეს და მიუხედავად იმისა, რომ მიწა კერძო მფლობელობაშია, მოსახლეობას ტერიტორიის საძოვრად გამოყენების საშუალებას მაინც აძლევენ.

სამთაწყაროელები კატეგორიულად მოითხოვენ, მათთან მიწების უცხოელი მეპატრონე ჩავიდეს და დაზარალებულ მოსახლეობას პირადად გაესაუბროს. მათი თქმით, კომპანიის ქართველი წარმომადგენელი ამომწურავ პასუხს ვერ აძლევს, ამიტომ აუცილებელია სამთაწყაროში ისეთი პიროვნება ჩავიდეს, ვინც მათ კონკრეტულ პასუხს გასცემს. ადგილობრივები უახლოეს დღეებში გაცილებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმით იმუქრებიან და გაჩერებას არ აპირებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

### დედოფლისწყაროელი მეხანძრეები პოლონეთში



გვ. 3

### სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვა ჩატარდა

გვ. 2

### შემოგვხედეთ კუდრაჭა გოგონებს და ბიჭებს



გვ. 3


**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

# სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვა ჩატარდა

## რეინტეგრაციის მინისტრი და პრემიერის მრჩეველი დედოფლისწყაროში მუსლიმების ლოცვას დაესწრნენ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ტრადიციული ლოცვა ექსცესების გარეშე ჩატარდა. სამთაწყაროში ჩავიდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი და რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი მელაშვილი.

ამას გარდა, პარასკევის ტრადიციულ ლოცვას სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძე და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც აკვირდებოდნენ.



ზაქარეიშვილი ლოცვის დაწყებამდე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და უმცირესობების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები გააცნო. ზაქარეიშვილის განცხადებით, მიუხედავად ადამიანთა რაოდენობისა, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველას აღმსარებლობის და გამოხატვის უფლება.

მინისტრმა სოფლის მოსახლეობას მოუწოდა, რომ მუსლიმებს მომდევნო კვირებშიც ლოცვაში ხელი არ შეუშალონ. მისივე თქმით, მომდევნო პარასკევს ის თავად ადგილზე დააკვირდება, თუ როგორ მიმდინარეობს უმცირესობების უფლებების განხორციელება. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ გაუფრთხილებლად იგი სოფელს რამდენჯერმე ესტუმრება, რათა ვითარება გააკონტროლოს.

„სამკვირიანი პაუზის შემდეგ, დღეს მუსლიმთა პარასკევის ლოცვა ჩატარდა. შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას, სოფლის რწმუნებულს, ადგილობრივ და სტუმრად ჩასულ მუსლიმან ლიდერებს. რეალურად, პრობლემა არ იყო იმდენად რთული, როგორც ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა. ადგილობრივი ხელმძღვანელობა და მუსლიმთა თემი შეთანხმდნენ, რომ მსგავსი პრობლემები აღარ შეიქმნება. ჩვენ ვენდობით ადგილობრივ მმართველობას, ისინი მოწოდების სიმაღლეზე არიან. რა თქმა უნდა, ჩვენი დახმარება საჭირო იყო, თუმცა, გვჯერა, რომ ამგვარი საკითხების ეფექტურად და გართულებების გარეშე მოგვარება სწორედ ადგილობრივ მმართველობას შეუძლია”, - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

პაატა ზაქარეიშვილმა სოფლის ხოჯა სულიკო ხოზრევანიძეც მოინახულა, რომელიც გასულ პარასკევს, რელიგიური ნიშნით დაპირისპირებასთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა დაკითხეს, რის შემდეგაც ცუდად გახდა და დღემდე ავადმყოფობს.

სოფელ სამთაწყაროში იმყოფებოდა სრულიად საქართველოს მუფთის მოადგილე და ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნოიძე. ადგილზე ასევე მობილიზებული იყო დედოფლისწყაროს პოლიცია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლის ერეკლე ურუშაძის მტკიცებით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში დღეს მუსლიმთა პარასკევის ტრადიცული ლოცვა მშვიდ გარემოში ჩატარდა. როგორც ურუშაძემ განაცხადა, მუსლიმანურ სალოცავთან ადგილობრივები არ ჩანდნენ.

შეგახსენებთ, რომ დღეს სოფელ სამთაწყაროში სოლიდარობის აქცია „ლოცვის უფლება აქვს ყველას“ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამართეს და სახელმწიფოს რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისა და რელიგიური უმცირესობის უფლებების სათანადოდ დაცვისკენ მოუწოდეს.

არასამთავარობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ქრისტიანული მრევლი უკანონო ფორმით ხელს უშლიან მუსლიმთა პარასკევის ტრადიციული ლოცვის ჩატარებას და სახელმწიფომ სრულად ვერ უზრუნველყო და მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფით შემოიფარგლა, რაც, მათი შეფასებით, საკმარისი არ არის.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ განმარტა, განსასაზღვრია ამ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფოს როლი და დანიშნულება.

„ჩვენი დედოფლისწყაროში ჩამოსვლის მიზანი არის ის, რომ შევხვდეთ ადგლობრივ მოსახლეობას როგორც ერთ, ისევე მოერე მხარეს და შევეცადოთ, ჩვენი დადებითი როლი შევასრულოთ იმაში, რომ მსგავსი უკმაყოფილება არ განმეორდეს“, - აღნიშნა კოჟორიძემ.

ილია მარტყოფლიშვილი

# არასამთავრობოების მოწოდება დედოფლისწყაროელებს




სამთაწყაროელი მუსლიმების მხარდასაჭერად აქცია თბილისშიც გაიმართა. აქციის მონაწილეები მეიდანზე შეიკრიბნენ და მეჩეთისკენ გადაინაცვლეს. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს იმ ადამიანებს, რომლებსაც, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, სამთაწყაროში, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა ლოცვის საშუალება არ მისცა.

აქციაზე მრავლად გამოჩნდნენ ცნობილი სახეებიც და დედოფლისწყაროში მუსლიმთა ლოცვისთვის ხელშეშლის ფაქტი დაგმეს.

მეჩეთიდან გამოსულმა მუსლიმებმა აქციის მონაწილეებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს. ისინი ლოცვის დასრულების შემდეგ დაიშალნენ.

ამჯერად, აქცია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იყო ორგანიზებული.

„სამთაწყაროს სამლოცველოში, რომლის მახლობლადაც ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილი შეიკრიბა, მუსლიმები სალოცავად არ გამოცხადდნენ, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო სოფლის ქრისტიანი მოსახლეობის უკიდურესად ნეგატიური განწყობებით და იმ ქმედებებით, რომელსაც უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე მათი მხრიდან ჰქონდა ადგილი (მათ შორის, სოფლის ქრისტიანი მოსახლეობის მიერ მუსლიმების სალოცავიდან იძულებით გაყვანა, სოფელში შესასვლელი გზის გადაკეტვა და სხვა ქმედებები),“ — ნათქვამია „იდენტობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„იდენტობა“ თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ლგბტ ადამიანების უფლებადაცვითი საქმიანობითა და ანტი ჰომოფობიური კამპანიის წარმოებითაა ცნობილი.

# 1 ივლისიდან დაზღვევის მოცულობა იზრდება

1 ივლისიდან საყოველთაო დაზღვევის პაკეტის მოცულობა იზრდება, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

მისი თქმით, საყოველთაო პაკეტი ამ დრომდე მოიცავდა სამ კომპონენტს, ეს არის: გეგმიური ამბულატორია, გადაუდებელი ამბულატორია და გადაუდებელი სტაციონარი.

მინისტრის განცხადებით, 1 ივლისიდან ემატება გეგმიური სტაციონალური მომსახურებაც.

“მართალია ეს ერთი კომპონენტია, მაგრამ თავისი მოცულობით ბევრად აღემატება მთლიან პაკეტს, ანუ რამდენჯერმე გაიზრდება დახმარების მოცულობა”, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

# ხორნაბუჯში დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს



დაკავება მოხდა დედოფლისწყაროში განსაკუთრებით მძიმე ნარკოდანაშაულისთვის. შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზაქარია ჭ. ნარკოდანაშაულისათვის დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნედლი მცენარეული მასა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია „ოპიუმი“-ს შემცველი 2 კილო და 374 გრ დამაძინებელი ყაყაჩო.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ზაქარია ჭ. დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ შსს-ს პრესცენტრიდან აცნობეს, დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 8 დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს). გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# მშობიარობა უფასო იქნება

პირველი ივლისიდან მშობიარობა უფასო იქნება იმ კონტიგენტისთვის, რომელიც დაზღვეული არ არის და არც 28 თებერვლამდე ჰქონდა დაზღვევა, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ განაცხადა.

რაც შეეხება მშობიარობის ფასს, მინისტრის თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო დაუკავშირდა ყველა სახელმწიფო სამშობიარო დაწესებულებას და მათთან შეთანხმებით, საშუალო ფასი დადგინდა.

„რაც შეეხება ფასწარმოქმნის მოდელს, ჩვენ დავუკავშირდით პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო სამშობიარო დაწესებულებას და შევთავაზეთ მოეწოდებინათ ფასები როგორც ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე, ასევე გართულებაზე და საკეისრო კვეთაზე. არის განსხვავება ფასებს შორის, თუმცა მათთან შეთანხმება მოხდა და საშუალო ფასი დადგინდა. ზოგ სამშობიაროში ფასები არის უფრო მაღალი, ზოგში უფრო დაბალი. პირობითად, მშობიარობის ღირებულება ზოგ სამშობიაროში იყო 1 500, ზოგში 600 ლარი, ჩვენ ავიღეთ ეს სტატისტიკა და პლიუს მინუს ქვედა ზღვარი დავაწესეთ ანუ რეალური თანხა“, - აღნიშნა დავით სერგეენკომ.

მისივე განცხადებით, თუ ვინმეს ექნება სურვილი უფრო მაღალტექნოლოგიურ კლინიკაში იმშობიაროს, შეუძლია ისარგებლოს უფასო მშობიარობის პროგრამით, მაგრამ ფასზე განსხვავება თავად უნდა გადაიხადოს.



რაც შეეხება წინასამშობიარო პერიოდს, ანუ ორსულთა პატრონაჟს, როგორც სერგიენკომ აღნიშნა, საყოველთაო სადაზღვევო პაკეტში ეს ხარჯი, ჯერჯერობით, გათვალისწინებული არ არის. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტრო ამ საკითხზე მუშაობს და იქნება ცვლილება.

# ორ სკოლაში სამეურვეო საბჭოს განმეორებითი არჩევნები დაინიშნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში, სამეურვეო საბჭოს არჩევნების განმეორებითი ტური გაიმართება. როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მიხეილ ბახუტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მეორე ტური სოფელ ხორნაბუჯისა და დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლებში თანაბარი შედეგის მიღების გამო დაინიშნა.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის მაია ლაპიაშვილის განმარტებით, განმეორებითი არჩევნები მათთან სამ კანდიდატს შორის დაინიშნა მასწავლებელთა კატეგორიიდან.

„5 ხმით გასული ნონა პოპიაშვილის ერთი ბიულეტენი კომისიამ ბათილად სცნო. ასე რომ, ოთხ-ოთხი ხმით გავიდნენ ნონა პოპიაშვილი, სვეტლანა ლომიძე, მანანა სისაური. განმეორებითი ტურიც მათ შორის შედგება,“ — განუცხადა „შირაქს“ მაია ლაპიაშვილმა.

ამომრჩევლები სოფელ ხორნაბუჯში ორ, ხოლო დედოფლისწყაროში სამ კანდიდატს შორის გააკეთებენ არჩევანს. ხორნაბუჯში სამეურვეო საბჭოს წევრობისთვის პედაგოგები ჟანა ბაბაიანი და ნინო ლეკაშვილი იბრძოლებენ.

შეგახსენებთ, საქართველოს საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნები 9 ივნისს გაიმართა.

ილია მარტყოფლიშვილი

# დედოფლისწყაროელი მეხანძრეების სტაჟირების პროგრამა პოლონეთში



პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამეწარმეო ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის პოლონურ-ქართული ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის სამმა თანამშრომელმა ერთკვირიანი გადამზადების კურსი პოლონეთში გაიარა.

პოლონურ-ქართული ცენტრის კახეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ვალერი გრემელაშვილის განმარტებით პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონის მასშტაბით წელს სულ 44 მეხანძრის გადამზადება იგეგმება.

„პოლონური ბაზა ევროპაში ერთ-ერთი საუკუთესოა. ჩვენი მეხანძრეებისა და მაშველებისთვის ეს საუკეთესო გამოცდილება იქნება.მათ ასევე,საკუთარი თვალით უნდა ნახონ ის სტანდარტები,რისკენაც მივისწრაფით,“- აცხადებს გრემელაშვილი.

დედოფლისწყაროელი მეხანძრე გიორგი ბოლაშვილი მიიჩნევს, რომ პოლონელი მეხანძრეები ქართველ კოლეგებს ფიზიკური მომზადებით ვერ ჯობიან, მაგრამ მათი ეკიპირება და სამუშაო პირობები მართლაც შთამბეჭდავია.

„მათ აქთ სპეცსკოლა, საოცარი ეკიპირება და ბაზები. ვფიქრობ, საქართველო მალე შეძლებს ამ სტანდარტებთან მიახლოებას. დედოფლისწყაროში ამ კუთხით დიდი ნაბიჯები გადაიდგა. ახალი ტანსაცმელი, ახალი ტექნიკა, გაცვლითი პროგრამები... და ეს ყველაფერი



მხოლოდ რამოდენიმე თვეში მოხერხდა,“ — ამბობს გიორგი ბოლაშვილი.

პროექტი წელს პირველად ხორციელდება და მას პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს. გადამზადების კურსს წელს კიდევ ერთი დედოფლისწყაროელი მეხანძრე გაივლის

# შემოგვხედეთ კუდრაჭა გოგონებს და ბიჭებს

დამთავრდა კიდევ ერთი სასწავლო წელი მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში. ყველა



მათგანმა ჩაატარა გამოსაშვები საღამოები. ამ ბავშვების მონაწილეობით დედოფლისწყაროს სააღმზრდელო ცენტრმა, რომლის დირექტორიც მაია ყოჩიაშვილი გახლავთ, კიდევ ერთი დაუვიწყარი სპორტულ-



შემეცნებითი ლონისძიება მოაწყო. შეჯიბრი დედოფლისწყაროს განახლებულ სპორტდარბაზში გაიართა.

- მართალია, სპორტული კომპლექსის პრეზენტაცია ოფიციალურად არ მომხდარა, მაგრამ კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა კეთილი ჟესტი გაგვიკეთა და ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა მოგვცა. პირველად სტადიონზე ვგეგმავდით, მაგრამ ისე დაცხა, ბავშვები შეგვეცოდა თაკარა მზის ქვეშ დასაყენებლად და საბოლოო ჯამში ლონისძიება კომფორტულ გარემოში ჩატარდა. ჩართული იყო კონდინციონერები და მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებთან ერთად უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი ყველაფერმა სასიამოვნო გარემოში ჩაიარა. მინდა მადლობა ვუთხრა ქ-ნ ნინო ბახუტაშვილს, რომელმაც ამ ყველაფერთან ერთად ორი სპეციალისტი, მამუკა უთრუთაშვილი და მამუკა ალადაშვილი დაგვახმარა მუსიკალური გაფორმებისა და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის,“ - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მაია ყოჩიაშვილმა.

შეჯიბრი კი აზარტისა და ოვაციის ფონზე მიმდინარეობდა, მასში ოთხი საბავშვო ბაგა-ბაღი მონაწილეობდა. ქ. დედოფლისწყაროს №1,2,3 და სოფელ სამრეკლოს ბაგა-ბაღები. მასში, ძირითადად, ექვსწლიანი ბავშვები მონაწილეობდნენ. გამონაკლისი სამრეკლოს საბავშვო ბაღი გახლდათ, რომელმაც 4-5 წლიანი ბავშვები გამოიყვანა, რადგან იქ გამოშვებულ ბავშვთა რაოდენობა შეჯიბრის რეგლამენტის მიხედვით გათვალისწინებულ რაოდენობას ვერ აკმაყოფილებდა.

შეჯიბრს სჯიდა ჟიური, რომლის თავმჯდომარე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი გახლდათ, ხოლო წევრები სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის სპეციალისტები ნინო კვიწინაშვილი და მაია ცოგოშვილი. ღონისძიება მიჰყავდა ამავე ცენტრის სპეციალისტს ეკა პოპიაშვილს, ორგანიზატორი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე ირმა ჯანაშვილი იყო.

აქტიურობდნენ ბაგა-ბაღის გამგეები, აღმზრდელ-პედაგოგები, მშობლები, მაყურებლებით სავსე დარბაზი ოვაციებს ვერ იკავებდა. ამხნევებდნენ თავის ფავორიტ გუნდებს. ბავშვები მობილიზებულნი იყვნენ და ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ სირბილსა და რგოლში გაძრომაში. ბურთის კალათში ჩაგდებასა თუ სატანვარჯიშო სკამზე ცოცვაში, ალმის გადაცემაში, ველორბოლასა თუ ტომრებით სირბილში. სახალისო მისალმების შემდეგ შეჯიბრი ცხრა სახეობაში გაიმართა. აქედან რვა სპორტული, ხოლო ერთი ინტელექტუალური იყო. ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. საბოლოო შედეგებით კი ადგილები ასე განაწილდა.

პირველი ადგილი 29 ქულით №2 საბავშვო ბაღმა დაიკავა (დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი), რომელსაც „შევარდენი“ ერქვა. მეორე ადგილი 27 ქულით წილად ხვდა №3 ბაგა-ბაღს (დირექტორი მაია გონაშვილი). მას „მერცხალი“ ეწოდებოდა. მესამე ადგილს დასჯერდა №1 ბაგა ბაღის (დირექტორი ქეთევან დოლიძე) გუნდი „პირველები“. მეოთხე ადგილი კი სამრეკლოს ბაგა-ბაღის გუნდს „მომავალი“ (დირექტორი მაკა ზურაშვილი) დარჩა.

- „მართალია“ ჩვენი გუნდი ბოლო ადგილზე გავიდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთავარი დაკავებული ადგილი კი არა, მონაწილეობაა. მაშინ, როცა ჩვენი ბავშვები სხვა ბავშვებთან შედარებით უმცროსები იყვნენ, მაინც კარგად იასპარეზეს და სამომავლოდ გამოცდილება მიიღეს, რაც მნიშვნელოვანია. ისინი საზოგადოების წინაშე გამოსვლას უნდა მიეჩვივნენ,“ - გვითხრა მაკა ზურაშვილმა.

ლონისძიების დასასრულს ჟიურის თავმჯდომარემ თამარ თამაზაშვილმა ყველა მონაწილეს სამახსოვრო დიპლომები გადასცა, ადგილების მიხედვით გუნდები სიგელებით დააჯილდოვა, ხოლო ინტელექტუალურ შეჯიბრში გამარჯვებულ №1 ბაგა-ბაღის აღსაზრდელს მარიამ ყოჩიაშვილს სპეციალური სიგელი ერგო.

ეს მშვენიერი, სამახსოვრო დღე დასრულდა, ხმაური თანდათან მინელდა და დარბაზი მომავალი ღონისძიების მოლოდინში გაიყურსა.

ნაირა გორაშვილი



# როცა ამქვეყნად რწმენა არსებობს!

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ეკლესიის მარჯვენა კუთხეში მუდმივად დგას ერთი ბერიკაცი, რამდენჯერაც დავსწრებივარ წირვას, იმდენჯერ, ზუსტად ვიცი, რომ ერთ კუთხეში გახედვისთანავე აუცილებლად დავინახავ მას. ვიცი, რომ იქ იდგება და თავმდაბლობით ლოცვასა და საგალობლების მოსმენაში იქნება, ასეც ხდება, გაუნძრევლად დგას საკურთხევლის წინ და უსმენს მამაოს ქადაგებას. გაოცებული ვარ, იცით რით?!- რამდენი ადამიანი ცხოვრობს ეკლესიის ახლომახლო, რომლებიც ეკლესიაში წირვა - ლოცვაზე სიარულით თავს არ იწუხებენ, ეს კაცი კი, სოფელ ხორნაბუჯიდან,საკმაოდ შორი მანძილიდან დილით ადრე დგება და მოდის დროზე ადრე, რათა დაესწროს წირვა-ლოცვას. აქ იკვეთება ცხადი სინამდვილე, - როცა ამქვეყნად რწმენა არსებობს, სურვილს, რომ იცხოვრო რწმენით, წინ ვერანაირი წინაღობა ვერ დაუდგება,- არც გზის სიშორე, არც ასაკი, არც საოჯახო საქმე. მისი სიმტკიცე და მხნეობა, სარწმუნოებისადმი, ღვთისადმი დამოკიდებულება, მისთვის თვადადებული მორჩილება,სამაგალითო და დასაფასებელია!

ეს კაცი, 83 წლის კოლია ქენქაძე გახლავთ. სულ ახლახანს კოლია პაპა იუბილარი გახლდათ, იგი ჩვენი კოლეგის, მზია ქენქაძის მამაა, მაგრამ ჩვენ ამის გამო არ ვწერთ მასზე, კოლია პაპას თავისი დამსახურება აქვს. უბრალო, თავმდაბალი,პატიოსანი, უსაზღვროდ კეთილი და მშრომელი ადამიანია. მთელი სიცოცხლე,- ბავშვობიდან მოხუცებულობამდე მინდორში შრომასა და გარჯაში ღირსეულად გალია წლები, ათეული წლები რაიონში ერთ-ერთი დამსახურებული მექანიზატორი გახლდათ, საქმეს ვადაზე ადრე ასრულებდა და ვერც ხარისხს დაუწუნებდით. დღეს ის პენსიონერია და დარჩენილ ენერგიას, თავის წილ შრომას, შვილებსა და შვილიშვილებს ახმარს. მათგან კი, უკან სიყვარულს და ყურადღებას იღებს, მშობლისთვის ხომ ყველაზე დიდი ბედნიერება შვილებსა და შვილიშვილებში გახარებაა! ერთი კია, 83 წლის კოლია პაპას გული თავისი წილი სიხარულით და მწუხარებით დააქვს, მაგრამ მთავარი არ ავიწყდება, -ღმერთთან და კაცთან გულმართალობა!

როცა სახლში ვეწვიე, ეზოში ფუსფუსებდა, ეზო მართლაც საუკეთესოდ აქვს მოვლილი, ოციოდ ფრთა ქათამიც დაუდიოდა საქათმეში და ბაღ-ბოსტანიც მშვენივრად ჰქონდა დანარნარებული, მაინც სხვა არის მეურნე კაცის ხელი, სიამოვნებით ვათვალიერებ მის მიერ ლარში დარგულ ნათესულობას და თვალი ყურებით ვერ ძღება, -აქ,მოცხარი მაქვს დარგული, ერთი წითლად მწიფს ხოლმე, მეორე - ყვითლად, აქეთ ჭარხალი და სტაფილოა ამოსული, კიტრი თოკების მოწნულ გაბმულზე ამყავს, აქეთ კარტოფილი დავთესე, ადგილი კარგია და ყველაფერი მოდის, მით უმეტეს, თუ ხელი შეუწყე უკეთსს რას ნახავთ, მე კი, აბა, მეტი რა მავალია, უბრალოდ, ვერც ვისვენებ, რომ არ მოვიყვანო ნათესულობა, შრომას ვარ მიჩვეული და უსაქმოდ ძალიან მოწყენილი ვიქნები. თან საქმეც კეთდება, ამ მოსავლით ნახევარი წელი იოლას გავდივართ, ჩვენც მოვიხმართ და ქალაქში შვილიშვილებსაც არ ვაკლებთ ნატურალურ პროდუქტს, - საკმაოდ ტკბილმოსაუბრე გამოდგა კოლია პაპა. მე კი, მისი ბავშვობით ვინტერესდები,

- „1930 წელს დავიბადე, ბავშვობა სოფელ ზემო ქედში გავატარე, დედა სამი წლისას გარდამეცვალა, მამა ომში დაიღუპა, მას მერე, ბებიამ და დეიდამ, ქალაქში წამიყვანეს და იქ გამომზარდეს. როცა დედის ძმა სამამულო ომიდან დაბრუნდა, ნახა, რომ ქალაქში ძალიან გვიჭირდა თავის რჩენა, დღეში 400 გრამი პური გვეკუთვნოდა, რას გვეყოფოდა? - დღიურად ძლივს გავდიოდით, საშინელი შიმშილი იყო ჩამოწოლილი, ჰოდა ბიძამ გადაუწყვიტა, რომ სოფელს დავბრუნებულიყავით და ასეც მოხდა, ყველა აქეთ წამოგვიყვანა, ბიძამ თქვა,- ყანაში მუშა ხელი ჭირს, ვიმუშავებთ და მშივრები არ მოვკვდებითო,- ხომ მოგეხსენებათ, სოფელი ღონიერიაო... როცა დავბრუნდი კვლავ სკოლაში მიმიყვანეს, რათა სწავლა განმეგრძო, მაგრამ მეექვსე კლასის მერე აღარ მივლია, მინდვრიდან ამბავი მოიტანეს თაგვი გაჩნდა და მთელი თავთავი მოჭრა, თუ ხელი არ მივახმარეთ შიმშილობა ჩამოვარდებაო, ხელი რომ უჭირდათ მეც წამიყვანეს, წავედი და წავედი, დავრჩი მინდორში სამუშაოდ. მას მერე, სიბერემდე მინდვრიდან აღარც გამოვსულვარ, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, ოჯახს რჩენაში ვეხმარებოდი, ორ წელიწადს დამხმარედ ვიმუშავე, მერე მექანიზატორად ამიყვანეს, 1947 წელს ველისციხის კურსებზე გამაგზავნეს, შევისწავლე მექანიზაცია და დავრჩი ტრაქტორზე. ასე გავიზარდე ობლად, არც და მყავდა, არც ძმა, არც დედა, აღარც მამა. მყოლია პატარა ძმა, რომელსაც თვეებისას სახა-



დი შეხვედრია და ვერ გადარჩენილა. ასე რომ, ოჯახიდან მხოლოდ მე დავრჩი, რომელმაც სიცოცხლე პატიოსან სამსახურსა და შრომაში გავლიე, 57 წლის უწყვეტი სტაჟი მაქვს, ეს პატარა საქმე როდია, კომბაინი მქონდა ისეთ წესრიგში, რომ ერთი ნაწილიც რომ გაუფუჭდებოდა, მაშინვე ვცვლიდი და ვაწესრიგებდი, რომ მოსავალი ხარისხიანად მოემკა, აბა ეხლა რომ არის, კომბაინი მიდის და ვედრებით მარცვალი სცვივა, ესე კი არ იყო, მაშინ ერთ მარცვალსაც არ ვაგდებდით მიწაზე. ისეთი შრომა და მუშაობა მქონდა, რომ ღამეც კი ვშრომობდი, დასვენება არ მქონდა, ჩვენს მინდვრებს რომ მოვრჩებოდი, სხვა სოფლების კოლმეურნეობებში გადავდიოდით და ახლა მათ ვეხმარებოდით, ჯაფარიძესაც მივხმარებივარ, ოლეზეც ჩავსულვარ და მაჩხაანის მინდვრებშიც მიმუშავია ჩემი კომბაინით. მაშინ ერთმანეთის გატანა ვიცოდით, ერთობა იყო ხალხში?!"-კოლია პაპას მონათხრობზე თვალზე ცრემლები მეკიდება და გულში მიხარია, რომ ამ უბრალო ადამიანს ჩვენი გაზეთის ყურადღება დავუთმეთ, ხშირად ასეთ უბრალო ადამიანებს უფრო მეტი აქვთ სათქმელი, ბევრად მეტს მაძლევენ ქვეყნის ჭირვარამის კარგი გამოთქმით, ვიდრე მასზე ბევრად განსწავლულები და ახალგაზრდანი. მოხუცებსაც ხომ უნდათ გულიდან ამოიღონ თავისი წილი სიხარული თუ სევდა, ჩვენი გაზეთი კი, სწორედ რიგითი ადამიანებისთვის არსებობს და იწერება!

**- ამჯერად როგორ უყურებთ, კოლია პაპა, ჩვენს გარშემო არსებულ სიტუაციას, თქვენი თვალით დანახული საქართველო როგორია?**

- აბა რა გითხრათ, ამხელა რაიონი გვაქვს, ამდენი მინდვრები გვარტყია გარს და ამ მიწის მოცდენა ვინ გაიგონა?! წელს მთავრობამ მეტი ყურადღება დაუთმო სოფლს მეურნეობას და მართლებიც არიან, მაგრამ როდის მივალთ იმ ნიშნულამდე, რომ მართლა წელგამართუნი ფეხზე დავდგეთ, ამაზე მედარდება. მხოლოდ ჩვენი პურის ბეღელი საქართველოს ნახევარი წელი მაინც გამოკვებავს, სად გვეცალა ადრე უქმად ჯდომისთვის, ვნატრობ ის დრო დაბრუნდეს, როცა გლეხი უქმად არ დადიოდა და ყველას თავისი საკეთებელი ევალებოდა. მეცოდებიან ახალგაზრდები, სად წავიდნენ, რა გააკეთონ, ბირჟაზე დგანან და ერთმანეთს შეჰყურებენ, სახლში რომ მივლენ, რა ჭამონ და რა დალიონ იმაზე ფიქრი აწუხებთ. ადრე, ბირჟაზე მდგომს ვინ გააჩერებდა, მაშინვე იკითხავდნენ ვინ არის, რატომ დგას უსაქმოდო, გაარკვევდნენ რის კეთება შეეძლო და უმალ დაასაქმებდნენ, უსაქმოდ მოსაცდენი ხალხი სად იყო?! თავისუფლება ერთეულებისთვის მოვიდა, რომ რაც შეიძლება ბევრი ფული აკეთონ და არავინ არაფერი მოჰკითხოს, საიდანო?! წინათ ყველას თანაბრად გვქონდა, სალაროშიც შემქონდა ფული, ოჯახსაც ვინახავდი და ვინმეს დაპატიჟება რომ მდომებოდა, თამამადაც დავპატიჟებდი, ახლა ერთი პენსიაა და იმასაც რომ აიღებს პენსიონერი, სულის სალევად დაჰკანკალებს, თამამად ვერაფერი გაუბედია, რომ იყიდოს, ფიქრობს, მერე მთელი თვე მშიერი არ დავრჩეო, ვერც ვერავის ეპატიჟება თამამად სახლში და სტუმრადაც ვერ წასულა, ესაა საქმე?!

**- დღევანდელი მთავრობა უკვე ამოქმედდა ამ კუთხით, სოფლის მეურნეობაში საგრძნობი ძვრებია, მცირე მიწის მეპატრონეებისთვის ხელშეწყობაა, უფასოდ უხნავენ და უდისკავენ, იქნებ მომავალში უკეთესობაც იყოს?!**

- დღევანდელი ვითარებაც არ მომწონს, არ მომწონს ერთი მეორეს რომ ედავებიან და ორად იყოფიან, ხალხიც ორად გაიყო მათი შემყურე, ადამიანი ადამიანს ვეღარ დალაპარაკებია, ეს ყველაფერი წინა ხელისუფლებამ დათესა ხალხში, თურმე ეგრე ყოფილა, რომ ვინც დედოფლისწყაროს ქართული ოცნების ოფისთან ახლოს გაივლიდა, მით უმეტეს იქით მიიხედავდა ან სალამს ეტყოდათ „ქართული ოცნების" აქტივისტებს, ის ხალხი მეორე დღესვე შენიშვნებს იღებდნენ და სამსახურებში ყოფნასა და საარსებო ხელფასის ხელიდან გამოცლის მუქარაც არ იყო მათთვის უცხო. ჰოდა, რაც დათესეს, იმასვე იმკიან, ახლა თავად გახდნენ დევნის მსხვერპლნი, დაზარალებული ჩვენი ერი და ამ ქვეყანაში მაცხოვრებელი ხალხი რჩება, რომლებსაც მშვიდი ცხოვრების უფლება აქვთ, მართალია სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ ხალხი ამაში ისე მკვეთრად არ უნდა იყოს ჩართული, როგორც ახლა ვხედავ, ეს დაძაბულობას გამოიწვევს, საქართველო კი, ყველაზე მეტად დასუსტებას მაშინ განიცდიდა, როცა შიდა მტრები ერთმანეთის პირისპირ აღიმართებოდნენ. მთავრობამ ეს არ უნდა დაუშვას და სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს. ხალხი ამ პროვოკაციებს არ უნდა წამოეგოს, თორემ ერთი მუჭა ქართველები ერთმანეთს ამოვჭამთ და წლების მერე აღარ ვიქნებით. იმედი მაქვს ახალი მთავრობის მეშვეობით ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება!

**- არ შემიძლია თქვენს ღმერთისადმი დამოკიდებულებას არ შევეხო, როცა წირვა-ლოცვაზე სისტემატიურად დადიხართ, ეს ძალიან დიდი მადლია თქვენთვის, არადა, ამ ასაკის მამაკაცებს ცოტას თუ ესმის ჩვენში ამ მადლის არსი, თქვენ კი, წირვა-ლოცვას არ აცდენთ, ეს იმის მანიშნებელია, რომ დიდად ღვთის მოსავი ხართ, არადა, ძალიან ბევრ თქვენზე ახალგაზრდას უჭირს ათი მცნების გაგება, მით უმეტეს, შესრულება. ეს შვილების გავლენაა, რომ მაზიარებელი ხართ, თუ..?!**

- არა, პირიქით, შვილები მე თავად აღვზარდე ასეთი რწმენით, ეს ყველაფერი ჩემი ყრმობიდან მოდის, მე მოგახსენეთ თქვენ, რომ ბებიის და დეიდის ხელში გავიზარდე, სწორედ მათ ჩამინერგეს ღმერთის სიყვარული, მახსოვს ჩემი ბებია და დეიდა სულ სანთლებს ანთებდნენ და გამუდმებით ლოცულობდნენ, ხატს ეახლებოდნენ, ხშირად ნათესავებს და მეზობლებსაც კი უყრიდნენ თავს ჩვენთან ლოცვის და ახალი აღქმის წასაკითხად, ყველანი ერთად დასხდებოდნენ და ლოცულობდნენ. რწმენა აბედნიერებს ადამიანს, როცა რწმენა გაქვს, ცუდს არასოდეს ჩაიდენ, როცა სიცუდეს არ ჩადიხარ, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია, თითქოს ყველასგან და ყველაფრისგან გზაგახსნილი და თავისუფალი ხარ, ასე მგონია ცუდის ჩამდენის და ხელმრუდი ადამიანის ცხოვრება, მისი მძიმე ტვირთების გამო დამძიმებულია. მე კი, ისე ვიცხოვრე, რომ ჩემი 57 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე ერთი მუჭა მარცვალი, ჯიბითაც კი, არ მომიპარავს, ყველა ყველაფერს აკეთებდა, ხარბობდნენ და თავის წილხვდომილს არ სჯერდებოდნენ, მაგრამ მე ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია, რადგან მე ჩემი მეობა გამაჩნდა, უკვირდათ ხოლმე კიდეც, ამდენი შესაძლებლობა გაქვს, რომ მეტი წაიღო სახლშიო და როგორ არ აკეთებო, მაგრამ მე ასეთი ვიყავი, ასე გავიზარდე და ასე მოვკვდები, ქურდობა, ღალატი და ორპირობა, მე ღმერთთან ღალატთან მაქვს გაიგივებული. ამქვეყნად ყველა ასე პატიოსნად რომ ცხოვრობდეს, ეს ქვეყანა აშენებული იქნებოდა.

**- ყველა ადამინისთვის ბედნიერება შვილებიდან იწყება და მათით მთავრდება, ვიცი, რომ ხშირად შვილიშვილებთან სტუმრობთ, უამრავ ლამაზ დღეებს და გასვლით ღონისძიებებს გიწყობენ, აგერ შვილთაშვილიც მოესწარით„ თვლით, თუ არა დღეს თავს ბედნიერ კაცად?**

- თუ არ ჩავლით იმით გამოწვეულ ტკივილს, რომ მეუღლე, რომელთანაც საკმაოდ ტკბილი ცოლ-ქმრული წლები მაკავშირებდა, გარდაცვლილი მყავს და რომელიც დღემდე ძალიან გვაკლია ყველას, შვილების მიმართ უკმაყოფილებას არ გამოვთქვამ, როგორც შეუძლიათ და რაც შეუძლიათ, ჩემს გულს ახარებენ, ცოტა თემურის დარდი მაქვს, ის აფხაზეთის ომის ვეტერანია, იქიდან დაინვალიდებულიც ჩამოვიდა, მაგრამ მას მერე მთელი ცხოვრება ისე გალია, რომ საკადრისად ვერ დააფასეს, საუბარი მაქვს მის დასაქმებაზე, რაც შეეხება მზიას, მისი შვილებით გახარებული ვარ, ნინომ ექვსი წელი ლონდონში ისწავლა და იშრომა, მან საკუთარი შრომითა და გარჯით შეიქმნა მომავალი და ეს მეამაყება კიდეც,ის მშობლიურ ქვეყანას დაუბრუნდა და დღეს ქართულ- ამერიკულ უნივერსიტეტში ინგლისურად კითხულობს ლექციებს, აქვს საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც და კმაყოფილიცაა. ილია კი, ჯერ ქალაქის მთავარ პროკურატურაში მუშაობდა, რომელმაც ოქტომბრის არჩევნებამდე ორი თვით ადრე ნაციონალების მიერ არასასიამოვნო დავალებების გამო დატოვა სამსახური და ერთხანს უმუშევარიც დარჩა, თუმცა კეთილი ადამიანების და მეგობრების წყალობით ის დღეს ერთ-ერთ ძლიერ კერძო კომპანიაში მუშაობს სპეციალისტად და ძალიან კმაყოფილიცაა. სულ ახლახანს შვილთაშვილის, პატარა საბას პაპაც გავხდი.

**- როგორ უყურებთ მომავალს?**

- მე, რაც არ უნდა დამიშალონ, მაინც სტალინის დამფასებელი ვარ, ვინც ის კარგი ცხოვრება შექმნა, იმას ლანძღავენ ახლა. ახლა ბევრნი, მილიონობით სახელმწიფო ფული რომ დაუტაცებიათ თურმე და იძახიან, რატომ გვიწერენო?! სახელმწიფო თანხას ვინც ითვისებს ყველა სამაგალითოდ, ისე, უნდა დაისაჯოს ერთხელ, რომ მეორედ სხვამ აღარავინ ჩაიდინოს ეს ხელმრუდობა. მინდა, რომ აღდგეს ერთობა, სხვა ერებსა და ქართველებს შორისაც, გული მტკივა, რომ დღეს ხალხის უმეტესობა ისევ გაჭირვებულია და წელში ძლიერად ჯერ კიდევ ვერ გაშლილა. სხვა ქვეყნებს ცუდ საქმეში ნუ ვუყურებთ, მათგან კარგი გადმოვიღოთ, ჩვენს კუთვნილს, ჩვენს კულტურას, სარწმუნოებას, ტრადიციებს და ჩვენს მიწას მოვუფრთხილდეთ და ყველაფერი კარგად იქნება.

ლალი მეხრიშვილი



# „მანდილი" იუბილარია!

ხელოვნების სკოლაში ჩატარდა ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის „მანდილი" საიუბილეო კონცერტი. ანსამბლის ლოტბარი და ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი გახლავთ.

ანსამბლის წევრები ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა დალოცა და მომავალში წარმატებები უსურვა მათ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები ქალბატონი ნანა ვალიშვილი და თეა კასაბური.

ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა, ქალბატონმა ცარო მარტიაშვილმა მადლობა გადაუხადა ანსამბლის ხელმძღვანელს და მის წევრებს 5 წლის განმავლობაში გაწეული შრომისათვის და ის ბავშვები, რომლებმაც უკვე დაამთავრეს საჯარო სკოლა და ტოვებენ ანსამბლს - ნინო ჭაბაშვილი და ნიკა ბოსტაშვილი, ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

საიუბილეო კონცერტს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები და მშობლები.

# პროექტის მთავარი მიზანი მიღწეულია

გარემოსდაცვითი პროექტების კიდევ ერთი ნაწილი დასრულდა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა CENN ინიციატივა „კლიმატის ცვლილება - ძლიერი სოფელი, მოქნილი მმართველობა" საქართველოს ორ რეგიონში კახეთსა და აჭარაში, სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირების შემდეგ დაასრულა.

კახეთისა და აჭარის რეგიონში ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე პროექტი სახელწოდებით „კლიმატის ცვლილება - ძლიერი სოფელი, მოქნილი მმართველობა" 31 მაისს ოფიციალურად დასრულდა. პროექტს CENN ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა. მათ შორის იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც.

პროექტის დასკვნით შეხვედრას 30 მაისს სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ" მასპინძლობდა და მას დონორი ორგანიზაციების, საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ენერგეტიკისა და რეგიონული განვითარების სამინისტროების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ის ფერმერები ესწრებოდნენ, რომლებიც პროექტის ფარგლებში მიმდინარე პილოტურ პროექტებში იყვნენ ჩართულნი.

აღნიშული პროექტი სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირებას გულისხმობდა კახეთისა და აჭარის რეგიონების ოთხი მუნიციპალიტეტის დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ხელვაჩაურისა და ქედის ექვს სოფელში განხორციელებული პილოტური პროექტების საშუალებით.

გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, რა შედეგი მიიღო გაუდაბნოების საფრთხის ფონზე დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელმა და იგრძნობს თუ არა გლეხი შვებას. ასევე, გამოიწვია თუ არა პროექტმა დანარჩენი მოსახლეობის დაინტერესება.

სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ"-ში პრეზენტაცია დედოფლისწყაროს გამგეობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სპეციალისტმა ანა ბენაშვილმაც წარადგინა. მას პროექტის შედეგების შეფასება ვთხოვეთ.

ანა ბენაშვილი: „ყველა მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა მათთან განხორციელებული პროექტის შედეგები. დედოფლისწყაროს პრეზენტაცია მე მოვახდინე და დეტალურად განვიხილეთ სოფელ სამთაწყაროში განხორციელებული პროექტები. სასათბურე მეურნეობის დახმარებით წელიწადში 4 მოსავლის მიღება, 2 ზამთარში, 2-ჯერაც ზაფხულის განმავლობაში. აქ გამოყენებული იყო წვეთოვანი რწყვის სისტემა. გამოყენებული იყო მულჩირების მეთოდი, ასევე დაკიდებულ ბაღებში მოხდა კარტოფილის მოყვანა და ყველანაირი ბოსტნეულის მოყვანის მეთოდი იქნა გამოყენებული. წვეთოვანი სისტემა გამოყენებული იყო ვენახებშიც. ასევე მზის ჰელიო-გამათბობლების გამოყენება მოხდა. მოგეხსენებათ, რომ წლების განმავლობაში ფერმებში არ არის ელექტროენერგია, ეს კი ფერმერს საშუალებას მისცემს ელექტროენერგიის გარეშე მიიღოს ცხელი წყალი და გამოიყენოს ყოველდღიურობაში სანიტარული პირობების გასაუმჯობესებლად. გამათბობელი დამონტაჟდა ერთ-ერთ ოჯახშიც. ამ დღეებში მოხდა ელექტრო მწყემსის დამონტაჟება სამთაწყაროში, რომელიც ვენახს საქონლისგან დაიცავს. დედოფლისწყაროსთვის პროექტი მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოსახლეობამ ახალი ტექნოლოგიების შესახებ ბევრი რამ გაიგო და გამოსცადა. ნახეს, რომ კლიმატის ცვლილების პერიოდში როგორ მიიღოს კარგი შედეგები და ფინანსური შემოსავალი. მე ნამდვილად კმაყოფილი ვარ პროექტით, რადგან სხვა ოჯახებშიც გაჩნდა იმის მოთხოვნილება, რომ მსგავსი მეთოდები გამოიყენონ. დაინტერესდნენ წვეთოვანი რწყვით, ჰელიო გამათბობლებით, რათა დაზოგონ ელექტროენერგია და არ დასჭირდეთ შეშის გამოყენება და თავიდან აიცილონ მაღალი კომუნალური გადასახადები . ეს სოფელი არ არის გაზიფიცირებული და მზის ენერგიის გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ სოფელში შეშით მომარაგებაც სერიოზული პრობლემაა. იმ სოფლებში, სადაც სენ-მა პროექტები განახორციელა, ყველგან შექმნილია ასოციაციები და როგორც შემაჯამებელ შეხვედრაზე აღინიშნა, დონორები ყველანაირად ეცდებიან მსგავსი ასოციაციები სხვადასხვა კუთხით განავითარონ და მომავალშიც გვერდით დაუდგნენ."





შეფასებები გაკეთდა თბილისში გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზეც.

„პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მიღწეულია, პროექტის საშუალებით ჩვენ შევძელით პილოტური პროექტების განხორციელება და ამით ადგილობრივი თემების გარკვეულწილად განვითარება-გაძლიერება. შეხვედრის მიზანი კი ამ პილოტური პროექტების რეკლამირებაა, იმისათვის, რომ სხვა დონორ ორგანიზაციებსაც ვაჩვენოთ პროექტის ფარგლებში შემუშავებული პრიორიტეტები, რათა მათაც შეძლონ უფრო მეტად განავითარონ ადგილზე ფერმერები და ადგილობრივი თემი," - ამ სიტყვებით მიმართა საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას CENN-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნანა ჯანაშიამ და პროექტის კლიმატის ცვლილება - ძლიერი სოფელი, მოქნილი მმართველობა დასკვნითი, შემაჯამებელი შეხვედრა გახსნა.

CENN-ის პროექტების კოორდინატორი ნინო თევზაძე ამბობს, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პილოტური პროექტების განხორციელებამდე, ორივე რეგიონის სოფლების თემებში, უამრავი სამუშაო ჩატარდა. ადგილზე შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი, მოხდა საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება-დარიგება და ტრეინინგების ჩატარება, შეიქმნა კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და მიტიგაციის სამოქმედო გეგმები თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის.

რაც შეეხება პილოტურ პროექტებს, შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ადგილობრივ თემებში, მცირე ასოციაციების სახით, შესაბამისად ექვსივე პილოტური პროექტი ადგილობრივ ფერმერებთან და მეწარმეებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა.

არასამთავრობოები სახელმწიფოს ჩართულობას, ფერმერები კი დონორებს ელოდებიან.

„პროექტი შეიძლება იყოს წარმატებულ მაგალითად განხილული, გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსური რესურსი პროექტს არც ისე დიდი ჰქონდა, შესაბამისად ბევრი რამ გაკეთდა და ბევრი რაღაცის დემონსტრირება მოხდა. ძალიან ბევრი ბენეფიციარი მოვიცავით ჩვენს მუნიციპალიტეტებში, შევეცადეთ მედიასთანაც გვქონოდა გარკვეულწილად ურთიერთობა. ჩართული იყო ადგილობრივი მთავრობა, რაც არა მხოლოდ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მათთან შეთანხმება მოხდა და ისინი ჩართულები იყვნენ პროექტში, არამედ იმიტომაც, რომ გარკვეულწილად ეს პროცესი არის უნარ-შესაძლებლობებისა და ცნობიერების ამაღლების პროცესი. ამ მხრივ მიმაჩნია, რომ პროექტი ერთ-ერთი წარმატებულია. თავად ფერმერებიც მონდომებულები არიან, გაიზარდა მზაობა, უფრო მეტი იმედი ჩაესახათ, იციან ვის უნდა მიმართონ კონკრეტული პრობლემის დროს, კონტაქტები აქვთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. თემების გაძლიერებისაკენ ამით ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა, რა თქმა უნდა კიდევ ბევრია სამუშაო, კარგი იქნება თუ სხვა დონორები, ან იგივე სახელმწიფო, გააგრძელებს ამ მხრივ მუშაობას", - განაცხადა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN პროექტის მენეჯერმა ნინო თევზაძემ.

პროექტის წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ის იყო, რომ სწორად იქნა შერჩეული საჭიროებები, რომლებიც კონკრეტულ თემსა და ბენეფიციარს სამიზნე ტერიტორიებზე — სოფლებში ესაჭიროებოდა.

გაზეთი „შირაქი" დედოფლისწყაროში ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე ამ ხნის განმავლობაში ინტენსიურად წერდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# დასრულდა მათი ცხოვრების ყველაზე უდარდელი ეტაპი

2013 წლის 6 ივნისს ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის გამოსაშვები ზეიმი გაიმართა. ირგვლივ თბილი, ნათელი და მხიარული დეკორაციები მშობლების, ბავშვების, პედაგოგების და აღმზრდელების განწყობას კიდევ უფრო ახალისებდა.

ამ დღეს ბავშვები დაემშვიდობნენ საბავშვო ბაღის აღმზრდელს - ნანა სეხნიაშვილს, აღმზრდელის თანაშემწეს - ეთერ ჯალიაშვილს, გამგეს - მაია გონაშვილს, სიმღერის მასწავლებელს - ხათუნა ჯანაშვილს,ცეკვის მასწავლებელს-ელზა ჩახნაშვილს, ძიძას - ნინო ღორაშვილს. მთელი ამ დროის განმავლობაში თითოეული მათგანი დაუღალავად, ხალისით ზრუნავდა პატარების აღზრდასა და განვითარებაზე. თამარ ალუღიშვილი, გიორგი ბიჩელაშვილი, ნინო ღორაშვილი, ნინო და იოვანე არაბულები, გიორგი და თორელ ცისკარაულები, გიორგი ბოჭორიშვილი, ლალი მამადაშვილი, დათუნა ალადაშვილი, ტოლიკა და ანდრო სუხავოები, ნატალი ბაცაცაშვილი და გიგა ლეკაშვილი ახლა პედაგოგებს, აღმზრდელსა და მეგობრებს დაემშვიდობებიან და შემოდგომის დადგომისთნავე უკვე სკოლაში მივლენ. ღიმილით, უამრავი კეთილი სურვილით, ბავშვების მომავალზე ლოცვითა და ცრემლმორეული, მაგრამ ბედნიერი თვალებით დასრულდა ეს შესანიშნავი საღამო, რომელიც ბავშვებმა განსაკუთრებით გაალამაზეს: იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაიკითხეს, ამდენი მაყურებლის შემყურეები კი, დროდადრო იმორცხვებდნენ. . ენით აუწერელი სიხარულის მომგვრელია ამდენი ბავშვის, ნათელი და მოუსვენარი, გულუბრყვილობით მოციმციმე თვალების ყურება.





გამოსაშვებ ზეიმს ესწრებოდნენ სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი - მაია ყოჩიაშვილი თანამშრომლებთან ერთად, გამგეობის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები.

დასასრულს ბაღის გამგემ მაია გონაშვილმა მადლობა გადაუხადა ჯგუფის ყველა პედაგოგს, მშობლებს და სტუმრებს გაწეული მუშაობისა და თანადგომისათვის, პატარა აღსაზრდელებს კი ბედნიერი მომავალი უსურვა.

მართლაც, დასრულდა ამ პატარების ცხოვრების ყველაზე უზრუნველი და უდარდელი ეტაპი, ხვალ ისინი სკოლის კარს შეაღებენ და ბეჯითი სწავლით, მაღალი პასუხისმგებლობით დაიწყებენ ბრძოლას ბედნიერი მომავლისათვის.

ელზა ხარაშვილი

# კანადელი ექსპერტი საქართველოში ბიომეურნეობების განვითარების პერსპექტივებზე

„აგრო განვითარების ჯგუფს" სტუმრობდა კანადელი ექპერტი ბიომეურნეობების საკითხებში ჩარლზ მიტჩელი. მან ამ დროის განმავლობაში ჩაატარა საკმაოდ ნაყოფიერი ტრენინგები როგორც ფერმერებისთვის, ისე ვეტექიმებისა და უშუალოდ, მასპინძელი ორგანიზაციისთვის. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში ბიომეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა.

ჩარლზ მიტჩელი 1990-იანი წლებიდან მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიომეურნეობების განვითარების კუთხით და ითვლება ერთ-ერთ კვალიფიციურ ინსპექტორად. ის ამავე დროს ეწევა ფერმერულ საქმიანობას კანადაში. ის საქართველოში პირველად იმყოფებოდა. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა მიტჩელი საკუთარ ქვეყანაში, რას ფიქრობს ის საქართველოში ორგანული მეურნეობების განვითარების კუთხით, რა პრობლემები დაინახა და რა რეკომენდაციებს აძლევს ქართველ ფერმერებს, ამ და სხვა საკითხებზე საქართველოდან გამგზავრების წინ მიტჩელთან ინტერვიუ ჩავწერეთ.

ჩარლზ მიტჩელი: „საქართველო პირველად ვარ და შევეცადე მის კუთხეებს გავცნობოდი, გასაოცარი ქვეყანაა. შეიძლება ითქვას, რომ არის მსოფლიოს ულამაზესი ნაწილი. საოცარი ხალხი, კერძები... გამოცდილი მოგზაური ვარ და ძალიან ვისიამოვნე აქ გატარებული სამი კვირით. ძალიან მომეწონა ის, რომ საქართველოში დანაშაულის ძალიან დაბალი დონეა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან შედარებით, სადაც მიწევს ხოლმე მუშაობა. ვურჩევ სხვებსაც ესტუმრონ საქართველოს და ვიმედოვნებ, რომ მომიწევს აქ დაბრუნება.

***თქვენ საქართველოში ყოფნის პერიოდში სხვადასხვა კუთხის ფერმერებს შეხვდით, გაეცანით მათი საქმიანობის სპეციფიკას, პრობლემებს, რას ფიქრობთ რა გზა აქვს გასავლელი ქართველ ფერმერს, რომ ბიოფერმერად ჩამოყალიბდეს. ანუ რა მდგომარეობაა ბიომეურნეობების კუთხით საქართველოში, როგორია თქვენეული აღქმა? სად ხედავთ მთავარ პრობლემას და შესაბამისად, გამოსავალს?***

ჩარლზ მიტჩელი: ორგანულ მეურნეობას გააჩნია სამი ასპექტი. მსოფლიოში ძალიან ბევრი ფერმერია, რომელიც ცდილობს ქიმიკატების გამოყენების შემცირებას მოსავლის მოყვანისას და საქონელში. ისინი არ წარმოადგენენ ფერმებს, სადაც ქიმიკატების გამოყენება მთლიანად ამოღებულია, მაგრამ ცდილობენ მათი გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას. აგრეთვე არსებობენ ფერმერები, რომლებიც თავიანთ მეურნეობაში საერთოდ არ იყენებენ ქიმიკატებს და ფერმერების მესამე ტიპია, ფერმერები, რომლებიც აგრეთვე საერთოდ არ იყენებენ ქიმიკატებს და სერთიფიცირებულები არიან ორგანული მასერთიფიცირებელი დაწესებულების მიერ. ორგანული სერთიფიკატი სჭირდებათ იმ ფერმერებს, რომელთაც დიდი საბითუმო ბიზნესი აქვთ. ყიდიან ბოსტნეულს სუპერმარკეტების დიდ ქსელზე ან გააქვთ საექსპორტოდ საზღვარგარეთ, მაგალითად, როგორიცაა ქართული ორგანული ღვინო, რომელიც ევროპის ქვეყნებში გადის. ძალიან ბევრი ფერმერი იყენებს დაბალი შემცველობის ქიმიკატებს მცენარეების მოყვანასა და მეცხოველეობაში, რადგან ხშირ შემთხვევაში, ის უფრო იაფია ვიდრე ქიმიური სასუქების შეძენა, ჰერბიციდები ან ცხოველების მედიკამენტები. ქართველი ფერმერების უმრავლესობა საქონელს ადგილობრივ ბაზარზე ასაღებს. საქართველო ახორციელებს საკვების იმპორტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და არსებობს ადგილობრივი წარმოების გაზრდის ძალიან კარგი პოტენციალი. ორგანული პროდუქტებით ვაჭრობა არ იწყება ფერმერების მიერ ორგანული საკვების წარმოებით ან საქართველოს მთვრობის მიერ ორგანული საკვების წარმოების მოთხოვნით. ორგანული საკვებით ვაჭრობა იწყება ინფორმირებული საზოგადოებით, რომელსაც სურს ორგანული საკვების შეძენა, რადგან ის უფრო ჯანსაღია მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. ეს ასე ხდება ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. პირველად იწყება კლიენტების მიერ ჯანსაღი საკვების მოთხოვნა, ხოლო ამის შემდეგ ფერმერები იწყებენ ორგანული საკვების წარმოებას. მთავრობა, არაკომერციული ადგილობრივი ორგანიზაციები და ბიზნესები იწყებენ დახმარების გაწევას. ეს გრძელი გზაა. დღეს საქართველო იმ ნიშნულზეა, რომელზეც ევროპა და ამერიკა 1980-90-იან წლებში იმყოფებოდა. მთავარ დაბრკოლებას საქართველოში დღეს წარმოადგენს ის, რომ ორგანულ საკვებზე მოთხოვნა დაბალია და ცოტაა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ ოდნავ მეტი თანხა ორგანულ საკვებში. თუმცა საქართველოში ეკონომიკა ვითარდება, იზრდება საშუალო და ზედა საშუალო ფენა, რომელიც წარმოადგენს იმ პოტენციურ ჯგუფს, რომელიც შეიძენს ორგანულ პროდუქციას მომავალში. თუ იქნება მოთხოვნა, ფერმერებსაც გაუჩნდებათ ორგანული საკვების წარმოების სურვილი.




კიდევ ერთი დიდი გამოწვევა ორგანული პროდუქციით ვაჭრობის წინაშე არის ის, რომ კლიენტი, რომელიც უფრო მეტ თანხას იხდის ორგანულ პროდუქციაში, დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ის ყიდულობს ნამდვილად ბიოპროდუქტს, რომელშიც ნაკლები რაოდენობის ქიმიკატებია გამოყენებული ან საერთოდ არ არის. ეს გამოწვევას წარმოადგენს იმ ქვეყნებისთვისაც, სადაც ორგანული პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი მაღალია. სერთიფიკატმა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მარკირება, უნდა დაარწმუნოს ისინი იმაში, რომ პროდუქტი ნამდვილად დამზადებულია აღიარებული ორგანული სტანდარტის შესაბამისად. სწორედ აქ აკისრია მნიშვნელოვანი როლი მთავრობას. უფრო მეტი ტექნიკური ტრეინინგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქართველი ფერმერებისთვის, რომ აწარმოონ ხარისხიანი ორგანული პროდუქტები. ორგანულ საკვებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მაღალი ხარისხი, რომ კონკურენტუნარიანი, თორემ მას არ შეიძინენ.

***თქვენ ხართ ორგანული საკვების მწარმოებელი ფერმერი. თქვენ აგრეთვე გიმუშავიათ აშშ-ს მთავრობის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში. მოგვიყევით ამერიკელ და კანადელ ფერმერების შესახებ, რომლებმაც გაიარეს ეს პროცესი.***

როგორც მოგახსენეთ, ზემოთ ნახსენები ციკლი იწყება მაშინ, როცა ჩნდება კლიენტის მოთხოვნა შეიძინოს უფრო ჯანსაღი საკვები. ევროპასა და ჩრდ.ამერიკაში ცნობიერება ჯანმრთელობის არასასურველი მდგომარეობის, მაგალითად კიბოს შესახებ, დაიწყო 1970-იან წლებში. მაგრამ ორგანული საკვების პოპულარობა 1990-იან წლებში დაიწყო. ამჟამად ორგანული პროდუქტებით ვაჭრობა ყოველწლიურად 20%-ით იზრდება. ეს გასაოცარი ციფრებია. ფერმერები კი მოქმედებენ მოთხოვნის შესაბამისად. ის, რასაც ფერმერები დასაწყისში აკეთებდნენ იყო ის, რომ ქონდათ პატარა ბაზრები, სადაც ორგანულ პროდუქციას პირდაპირ კლიენტებზე ყიდდნენ და ეს წარმოადგენდა საზოგადოების ინფორმირების საშუალებას ორგანული საკვების უპირატესობების შესახებ. პირდაპირი საცალო ვაჭრობა ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანული საკვების რეკლამირებაში. მე ვხედავ, რომ ეს პროცესი წარმატებულია ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც მე ვასრულებ ორგანულ პროდუქტებთან დაკავშირებული სამუშაოს უმეტეს ნაწილს. აგრეთვე, სათანადო მეთოდს წარმოადგენს, როცა მცირე ზომის ფერმერები პროდუქციას ყიდიან საცალოდ და არა ბითუმად. პირდაპირი გაყიდვებით უფრო მეტი ფული ხვდება პირდაპირ ფერმერის ჯიბეში, ხოლო ბითუმად ვაჭრობისას კი ის ძალიან დაბალ ფასს იღებს. საცალო გაყიდვების დიდი უარყოფითი მხარეა ის დრო, რომელიც საჭიროა საქონლის თითოეული კლიენტისთვის მისაყიდად. თითოეული მოქმედება საჭიროებს იმის განსაზღვრას, რა ჯობს რომ გაკეთდეს - განხორციელდეს ბითუმად გაყიდვა, საცალოდ გაყიდვა თუ მოხდეს მათი კომბინირება. უნდა ვთქვა, რომ ორგანული მარცვლეულის, ხილის და ბოსტნეულის წარმოება უფრო მარტივია, ვიდრე მესაქონლეობის პროდუქტებისა, როგორიცაა ხორცი, ყველი და რძე. თავდაპირველად, ორგანული ბაზრების წარმოშობისას სწორედ ეს ორგანული მცენარეები უფრო ხელმისაწვდომი გახლდათ. შემდეგ მას მოყვა მესაქონლეობის ორგანული პროდუქტები.

***ფერმერები ხშირად აღნიშნავენ, რომ რომც მოინდომონ ბიოპროდუქტის წარმოება, მათ არ აქვთ შესაბამისი ხელშეწყობა, პირიქით, ძალიან ბევრი ბარიერი ხვდებათ, როგორც საკანონმდებლო, ისე ფინანსურ საკითხებში. ასევე, აღნიშნავენ, რომ ბიოსერთიფიკატის მოპოვება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და მათ შემოსავლებზე არ არის მორგებული. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს ქვეყანაში.***

საქართველოში აღინიშნება მთავრობის როლის სიმცირე ფერმერებისთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევაში. როცა საქართველო გააზრებს უფრო მეტი საკვებ პროდუქტების წარმოების აუცილებლობას, უფრო მეტი რესურსი წავა ფერმერების მიმართულებით.

საკვები მეტად მნიშვნელოვანი პროდუქტია ქვეყანაში და საკვები საშუალებებით თვითუზრუნველყოფა არის უსაფრთხოების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვეყანა, რომელსაც საკვები პროდუქტების უმრავლესობა საზღვარგარეთიდან შემოაქვს, ბევრად უფრო დაუცველია. ორგანული სერთიფიცირება შეიძლება განსაკუთრებით ძვირი იქნეს, განსაკუთრებით როცა ბევრი ფერმა არ არის სერთიფიცირებული. მასერთიფიცირებელი ორგანოსთვის უფრო ძნელია იმ რეგიონში მუშაობა, სადაც ცოტა ფერმაა, ვიდრე იმ რეგიონში, სადაც ბევრი ფერმაა. სერთიფიცირება ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში უფრო იაფია ლათინური ამერიკასა და საქართველოსთან შედარებით, სადაც ფერმების ცოტა რაოდენობაა. ამ რეგიონებში არსებობს ე.წ. ორგანული წესები, რომლებიც იძლევა ჯგუფური სერთიფიცირების შესაძლებლობას. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში ორგანული ყავის დიდი ნაწილი მოყავთ



ჯგუფური სერთიფიკატის ქვეშ გაერთიანებულ 30 მცირე ფერმერას. ამ ფერმერებმა იპოვეს დამფინანსებელი ორგანო, კერძოდ ეკლესია, რომელიც ეხმარებოდა სერთიფიცირების გადასახადის გადახდაში.

***დღეს ჩვენი ხელისუფლება საუბრობს, რომ ბიომეურნეობის განვითარებას განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს, იწერება გარკვეული სტრატეგიაც... რას ფიქრობთ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი?***

მე ვნახე ციფრები, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 70% ფერმერია. არ ვარ დარწმუნებული ამ ციფრების სიზუსტეში, მაგრამ ფერმერობა მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში და საჭიროებს მთავრობის სრულ მხარდაჭერას. სოფლებს სჭირდებათ ეკონომიკური შესაძლებლობები, რომ მოსახლეობამ არ დატოვოს ეს ადგილები და არ გადასახლდნენ ქალაქებში ან სხვა ქვეყნებში. საქართველოსთვის აუცილებელია სოფლების დახმარება, როგორც ეკონომიკური ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით. ერი, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი თავის გამოკვებას, დაუცველი ერია. საქართველომ უნდა გადახედოს სხვა მსგავსი ქვეყნების კანონებსა და კანონმდებლობას, რომლებმაც დაიწყეს საკვების უსაფრთხოებაზე მუშაობა. უნივერსიტეტებმა თავიანთ სასწავლო გეგმაში უნდა ჩართონ „მდგრადი სოფლის მეურნეობა". მთავრობამ უნდა ჩაატაროს მარცვლეულსა და მესაქონლეობის წარმოების სფეროს კვლევა მის სპეციფიურ კლიმატურ პირობებში. შეიძლება, რომ საქართველომ დადოს შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ მეზობელ ქვეყნებთან მდგრადი აგრარული წარმოებისა და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყველა ქვეყნისთვის ცნობილია საკვების უსაფრთხოების საკითხები. წიაღისეული საწვავი, რომელიც ხელს უწყობს გლობალურ დათბობას, ამოწურვად რესურსს წარმოადგენს (ერთ დღეს ის ამოიწურება ან მწვავედ შეიზღუდება) და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია საკვების წარმოება იმგვარად, რომ სრულად არ იყოს დამოკიდებული წიაღისეულ საწვავზე.

***რას იტყვით კერძო სექტორის მხრიდან აქტიურობაზე, როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი ორგანიზაცია მუშაობს ამ მიმართულებით. ჩვენს ქვეყანაში კი ორი-სამი ორგანიზაცია...***

მათ, როგორც ადრე ვახსენე, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ფერმერების მხარდაჭერაში, როცა მომხმარებლების მოთხოვნა საკმარისია იმისთვის, რომ ფერმერებმა დაასკვნან, რომ მათ შეიძლება ნახონ მოგება, თუ დაიწყებენ ორგანული საკვების წარმოებას. ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში კერძო სექტორი და არასამთავროები მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ფერმერებს, მანამ სანამ მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მის მოსახლეობას სჭირდებოდა უფრო სუფთა საკვები. არასამთავრობო ორგანიზაციები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მომხმარებლის ინფორმირება-განათლების სფეროში. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა „ელკანა", ასევე, თქვენი ორგანიზაცია, მეტად მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად საგანმანათლებლო ინიციატივების გამოყენებით.

AGROQIZIKI
აგროქიზიყი
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!
შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში
6 თვიანი უპროცენტო განვადებით,
მხოლოდ პირადობის მოწმობით.
შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

„აგროქიზიყი"
გთავაზობთ
მსოფილიოში
გავრცელებული
მაღალ პროდუქტიული
მერძეული
და მეხორცული ჯიშის
ბუღის სპერმას
ჩვენი სპეციალისტები
კონსულტაციას
ადგილზე გაგიწევენ



პირველი 50
მსურველისთვის
სპერმის
ღირებულებასა და
მომსახურებაზე
გავრცელდება 50%-
იანი ფასდაკლება
დარეკეთ ნომერზე:
599 56 71 31

# გუნდი „ჩემპიონი“ 2013 წლის საქართველოს ჩემპიონია

დასრულდა საქართველოს მე-20 ღია ჩემპიონატი კიკბოქსინგში, რომელიც ქ. თბილისის ოლიმპიური მომზადების სპორტულ ცენტრში 6-7-8 ივნისს მიმდინარეობდა. საქართველოს ყველა ქალაქის გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ საფრანგეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთის და აზერბაიჯანის საუკეთესო სპორტსმენები.

დედოფლისწყაროს კიკბქსინგელებმა წელსაც არავის დაუთმეს პირველობა და 11 ოქროს, 4 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედლით 2013 წლის საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს!!!

**საქართველოს ჩემპიონები კიკბოქსინგში** გახდნენ: ლაშა ლეკაშვილი, თორნიკე ლეკაშვილი, ნიკა ვაჭრიძე, ზურა ჯეთერიშვილი, ლაშა ელყიაშვილი, გიორგი გომერშმიდი, ლევან წიკლაური, ვალერი ვაჭრიძე, ხვიჩა ქოქუაშვილი, თამარ ჩიბუხაშვილი და მარიამ კუპრიენკო.

***მეორე ადგილის მფლობელები:*** ვალერი კვიწინაშვილი, მალხაზ ჯაგაშვილი, ნიკა ფიროსმანაშვილი, რევაზ მარგებაძე

***მესამე ადგილი:*** ჯემალ და იოსებ ზოიძეები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი საიუბილეოა და ჩვენს ქვეყანაში მეოცე წელია ტარდება. წინა წლებშიც მრავალჯერ იზეიმა „ჩემპიონმა“ გუნდური გამარჯვება, მაგრამ ამჯერად საიუბილეო თარიღზე სულ სხვა საზეიმო განწყობა ჰქონდათ სპორტსმენებს.

ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ დედოფლისწყაროს სპორტსმენებს მიულოცა საქართველოს ჩემპიონატის პირველობა და ხელმძღვანელს თამაზ ყარაგვეზაშვილს გადასცა გუნდური გამარჯვების თასი.

ბავშვთა შორის საუკეთესო ორთაბრძოლები ჩაატარეს ლაშა და თორნიკე ლეკაშვილებმა. ლაშამ თავისი პირველი დიდი მონაპოვარი საქართველოს ჩემპიონობა, როგორც თვითონ თქვა, გარდაცვლილი მამის ხსოვნას მიუძღვნა.

ჭაბუკთა შორის ლამაზი ფინალური ორთაბრძოლა ჩაატარა ზურა ჯეთერიშვილმა. ზურა სამრეკლოს საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა, მან უკვე მესამედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. ტოლი არ დაუდო მას თანაგუნდელმა ლაშა ელყიაშვილმა და თბილისელ მეტოქეს ფინალში ქულებით მოუგო და საქართველოს ჩემპიონატზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

დავით ჯინაშვილი და ჟემალ ზოიძე - ეს ბიჭები საკმაოდ კარგად არიან მომზადებული და კარგად ფლობენ ლამაზ საბრძოლო ტქნიკას. მათ მოუწიათ ტიტულოვან სპორტსმენთან შერკინება და საკმაოდ კარგი დონე აჩვენეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებელში გოგონათა გამოჩენამ რინგზე. ყველაფერს მოველოდით და თუ ირანელი თავსახვევ მოხვეული ქალები რინგზე ავიდოდნენ და ბრძოლას დაიწყებდნენ არ ველოდით. ასევე, სტუმრად იყო აზერბაიჯანელ ქალთა გუნდი. სასიხარულოა, რომ ჩვენი რაიონელი გოგონები გამორჩეულად კარგად გამოვიდნენ.



თამარ ჩიბუხაშვილი ფინალში აზერბაიჯანის გუნდის წარმომადგენელს დაუპირისპირდა. პირველი რაუნდის შემდეგ თამარმა უპირატესობა მოიპოვა ჯერ ქულებით, შემდეგ კი ზუსტი პირდაპირი დარტყმით ნოკდაუნშიც ჩააგდო აზერბაიჯანელი გოგონა და მსაჯმა გამარჯვება ჩვენს სპორტსმენს მიაკუთვნა.

თავის წონაში ასევე პირველობა არ დათმო ქუთაისელ გოგონასთან მარიამ კუპრიენკომ. მარიამი მოწინაღმდეგეს ყოველთვის აბნევს, შეხედულობით ნაზი აღნაგობისაა, თითქოს სუსტია, მაგრამ ისეთი ძლიერი დარტყმა აქვს, ბევრ ჭაბუკს სჯობია. ასევე მოხდა ფინალში ძლიერი დარტყმებით აშკარა უპირატესობა მალევე მოიპოვა, რეფერმა ორთაბრძოლა შეაჩერა და მარიმს გამარჯვების აღსანიშნავად ხელი აუწია.

უფროსი ასაკის სპორტსმენებში რამდენიმე წელია ასეთი სიმრავლე არ ყოფილა, როგორც წელს. მომზადების დონე საკმაოდ მაღალი იყო და კონკურენციაც.

ზედიზედ ორ წონით კატეგორიაში პირველობა მოიპოვეს ჩვენმა გუნდელებმა ლევან წიკლაურმა და ვალერი ვაჭრიძემ. ლევანმა ახლა დაასრულა სამხედრო სავალდებულო სამსახური და აგრძელებს ვარჯიშს. მან შეძლო ლამაზი ორთაბრძოლებით მოეგო ყველა შეხვედრა და ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ დაისაკუთრა 54 წონით კატეგორიაში.

ასევე დაძაბული იყო ვალერი ვაჭრიძის ფინალი ბათუმელ გამოცდილ სპორტსმენთან ჯაბა მეშიშთან. არც ახლა გაუმტყუნა იმედი ვალერმა გულშემატკივარს, ყველა რაუნდი ქულების უპირატესობით მოიგო და ჩემპიონობაც იზეიმა 57კგ წონით კატეგორიაში.

უფროსი ასაკის სპორტსმენთა პაექრობა განსაკუთრებით საინტერესოა მაყურებლისთვის და უფრო ემოციურად დატვირთული. ასე იყო შედარებით მძიმე წონებში.

63,5კგ წონით კატეგორიაში დედოფლისწყაროს გუნდის წევრმა იოსებ ზოიძემ ორი ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. პირველი ქ. გორის სპორტსმენთან, ხოლო მეორე - ირანელ კიკბოქსინგელთან ტექნიკური ნოკაუტით.

67 კგ წონით კატეგორიაში დაძაბული ორთაბრძოლა გამართა გიორგი წიკლაურმა წინა წლის საქართველოს ჩემპიონთან თბილისელ მ. კანკავასთნ და მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. გიორგის არ ეყო დრო ფორმაში ჩასადგომად, ის იმყოფებოდა სასწავლო კურსებზე და ამიტომ ვერ ახერხებდა ვარჯიშს.

კარგად იასპარეზა შალვა ხოსიტაშვილმა. შალვა ტექნიკური სპორტსმენია და საკმაოდ პერსპექტიული. ის წელს გადავიდა ჭაბუკობიდან უფროსი ასაკის ჯგუფებში და ყველაფრის მიუხედავად, შეძლო თავისზე უფროსი ასაკის მეტოქესთან ღირსეულად გაემართა საბრძოლო შეხვედრები.



არ შეიძლება გამორჩეულად არ აღვნიშნოთ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენის ხვიჩა ქოქუაშვილის გამოსვლა პროფესიონალურ მატჩზე ირანელ მეტოქესთან. ხვიჩა მრავალგზის საქართველოს ჩემპიონია. მონაწილეობდა სარეიტინგო ორთაბრძოლებში და მსოფლიო ქამრის გათამაშებაში პრეტენდენტობისთვის იბრძოდა.

ხვიჩამ საუკეთესო ბრძოლა ჩაატარა. ირანელი კიკბოქსინგელი მძიმე ნოკაუტით დაამარცხა მეორე რაუნდში ლამაზად შესრულებული პირდაპირი დარტყმით.

ასე დასრულდა მე-20 ჩემპიონატი კიკბოქსინგში. საპრიზო ადგილებზე გაასული სპორტსმენები სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. ნაკრები გუნდის სპორტსმენები მადლობას უხდიან კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ნინო ბახუტაშვილს დაფინანსებისთვის საქართველოს პირველობაზე და ყველა საჭირო საშეჯიბრო ინვენტარის შეძენისთვის. სასიხარულოა, რომ სპორტის ცენტრი ასე გულისხმიერად ეკიდება კიკბოქსინგელთა მომზადებას და საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ რაიონში სპორტი გამოცოცხლდა. ის სოპრტსმენები, რომლებიც შედარებით ახალბედები არიან და ნაკრებ გუნდს არ წარმოადგენენ, თავისი ხარჯებით გაემგზავრნენ, რისთვისაც მათ მშობლებსაც მადლობას ვუხდით.

ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

## ილიკო შარვაძე



დაბადების დღეს გილიოცავ, 21 ივნისს 39 წლის გახდებოდი, ჩემო დედისერთა ბიჭო, ჩემო ილიკო. შენ მხოლოდ 38 შემოდგომას მოესწარ, არ დაგინდო განგებამ და გზად წამოგეწია მუხანათი სიკვდილი, უცებ აიარე წუთისოფლის აღმართი, მაგრამ შენი სიცოცხლის ლამაზ დღეებს სიკვდილი ვერ წაშლის. შენისთანა ახალგაზრდის სიცოცხლე ღმერთმა სიბერისთვის ვერ გაიმეტა. თავისთვის დაიტოვა. 38 წლისას დაგატოვებინა ეს ქვეყანა და მარადიული სიჭაბუკე გარგუნა.

ჩემო ილიკო, შენც ხომ ასე იცოდი თქმა: ორმოც წლამდე ბიჭი ვარ, ორმოცი წლის მერე ვიქნები კაციო. მაგრამ ვაი, რომ შენ დაკაცება არ გეღირსა.

ძალიან ძნელია შენი უბედური დედისათვის წარსულში ლაპარაკი, მაგრამ უფრო ძნელია აწმყო უშენოდ. არ შემიძლია შევეგუო იმას, რომ შენ ჩემთან აღარა ხარ. ყველგან შენ გეძებ, შენი ხმა და სუნთქვა და სუნთქვა ჩამესმის. შენს ტანსაცმელს შენი სურნელი არ გაჰქრობია, გულში ვიხუტებ და ამით ვიკლავ შენი ნახვის სურვილს, შვილო!

თითქოს გუშინ იყო, როცა დაიბადე, გულში იმედი და ნატვრა ჩამისახე, სიცოცხლე ულევი სითბოთი და სიხარულით ამივსე, როცა პირველად „დედიკო“ დამიძახე. სიცოცხლით სავსე, მოზღვავებული ენერგიის და ძალიან ცელქი იყავი. ჩვენს ახლობლებს და მეზობლებს დღემდე ახსოვთ შენი ბავშვობა. მერე კი ძალიან მორიდებული და სიტყვაძუნწი გახდი. შენს სიცელქეს დიდობაში შენს ფორიაქა ხასიათში გამოხატავდი-სულ გეჩქარებოდა, სულ დაქროდი, ყველაფრის მოსწრება გინდოდა.

ყოველთვის სიხარულით ელოდებოდი შენს დაბადების დღეს, გიყვარდა და სიყვარულით იტყოდი: 21 ივნისს ვარ დაბადებული, ამ რიცხვში ძალიან ბევრი გამოჩენილი ადამიანია დაბადებულიო.

წელს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. ახლა, ალბათ, შენი მამა ემზადება 19 წლის მერე დაბადების დღე რომ აგიღნიშნოს. ბოლოს ხომ 20 წლისთავი გადაგიხადა, მერე კი აღარ დასცალდა, ისიც ახალგაზრდა - 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. თქვენ მანდ აღნიშნეთ, ჩემო სიცოცხლე შვილო, მე კი შენს ცოლშვილთან ერთად მოვალ შენს საფლავზე და დაგინთებთ 39 წმინდა სანთელს, მოგეფერებით და ცრემლებით გაგითბობთ შენს გაყინულ გულს.

ახლა მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობ შენი ბავშობიდან იმ ავადმოსაგონარ დღემდე, რომელმაც ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთად აქცია.

21 ივნისს დაიბადე და 21 ნოემბერს დატოვე ეს ქვეყანა. რიცხვი 21 გახდა შენი სიცოცხლის დასაწყისიც და ცხოვრების დასასრულიც.

ჩემო სიცოცხლევ და ჩემო სევდავ, ჩემო ილიკო, ნუგეშად ისღა დამრჩენია, რომ დადგება ის დღეც, როცა ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. სიკვდილი ჩემთანაც მოვა და სიხარულით გამოვყვები იქ, სადაც შენ მელოდები, ჩემო მონატრებულო ბიჭო. უზომოდ მენატრები, რა ვქნა, შვილო, დამესიზმრე და მითხარი რამე, ჩემო ლამაზო. რა იქნებოდა შენც გაგეხარა ამ ქვეყანაზე, მეც ხომ ბედნიერი დედა ვიქნებოდი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი და მამაშენის სულები.

**შენი გამწარებული დედა;** ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე, **მეუღლე** – თამუნა, **შვილები** ნია და ილიკო შარვაძეები.

## ლევან გოგილაშვილი



ეს პატარა ლექსი მინდა ლევან გოგილაშვილის ხსოვნას მივუძღვნა. რომელმაც თავისი უდროო სიკვდილით გული დასწყვიტა მთელ სანათესაოს.

### კახეთის მთვარეს

როგორ მიყვარდა კახეთის მთვარე,
ვეღარ გავძეხი მისი ფერებით,
უკანასკნელად როცაღა ვნახე,
ზედ გადაჰკროდა თალხი ფერები.
როგორ მიყვარდა კახეთის მთვარე
ღამის სიწყნარეს ჩვენღა ვაკრთობდით
ჩვენი სიმღერით ვიკლებდით არეს
და ერთმანეთის გულებს ვათბობდით.
როგორ მიყვარდა კახეთის მთვარე
რარიგ გიჟურად გულით ვლაღობდით,
ვინ გაგვიფუჭა და-ძმას გაწყობა,
ასე უეცრად რატომ დავშორდით?
როგორ გიტირო, ცრემლი გამიშრა,
კახეთის მთვარე თვალწინ გამიკრთა,
კალმით გტიროდი ხელში დამიშრა,
სანთელი მქონდა ისიც ჩამიქრა.

**სიყვარულით, მამიდაშვილი**
ია კაცაძე

## ნოდარი უზუნაშვილი

21 ივნისს შენი დაბადების დღეა, ნოდარ. გიყვარდა ეს დღე და თავმომწონედ აღნიშნავდი მუდამ. შენთან ერთად ვზეიმობდით შენი მეგობრებიც. წელს პირველად უშენოდ მოდის შენი დაბადების 54 წლისთავი, რაც ძალიან მტკივნეულია როგორც შენი ოჯახის, ახლობლების, ასევე შენი მეგობრებისთვისაც. შუა ასაკში, მაშინ. როცა ცხოვრების გზა გაკვალულია, შვილები დაზრდილები, შვილიშვილებით უნდა აივსოს სახლ-კარი და ადამიანმა გაიხაროს, მაშინ შეწყდა შენი სოცოცხლე. აგვისტოში ერთი წელი გავა, რაც ეს ქვეყანა დატოვე და მარადისობას შეუერთდი. თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი, უეცარი სიკვდილი. გულმა გიმტყუნა, გულმა, რომელიც დიდ სიყვარულს იტევდა: შენ ხომ ძვირფასი მეუღლე, საუკეთესო მამა, პატარა საბას ალერსიანი პაპა და ფასდაუდებელი მეგობარი იყავ. არასოდეს ივიწყებდი შენს N2 საშუალო სკოლას, შენს კლასს, კლასის ხელმძღვანელს ქალბატონ ზინა თარაშვილს, ჩამოხვიდოდი თუ არა მოსკოვიდან, სადაც შენ წარმატებული ბიზნესი გქონდა და გიცნობდნენ, როგორც კარგ მეღვინეს და სპეციალისტს, თავს მოგვიყრიდი,ბავშვურად მოილხენდი, შენეული იუმორით და ხალისით აგვავსებდი, თუ რომელიმეს უჭირდა, მხარშიც დაუდგებოდი. ყველას ძალიან გვიჭირს უშენობა, გული გვტკივა შენი უდროოდ დაკარგვის გამო და უფალს ვთხოვთ, სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს. შენს ხსოვნას კი დავიწყება არ უწერია, რადგან დატოვე კარგი მეუღლე, შვილები, შენი მეგობრები, რომლებსაც ძალიან უყვარდი. ნათელში იყავ, გილოცავთ დაბადების დღეს მარადიულ სასუფეველში.

მეგობრები: მანანა ტოკლიკიშვილი, ზურაბ კოკილაშვილი, გივი ხუციშვილი, იაგო ყოჩიაშვილი.

## ციალა ბალავაძე-შანშიაშვილი



ჩვენო საყვარელო დედა, უკვე 6 წელია გრძელდება შენი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება და ტკივილი ჩვენს გულებში. სიჩუმემ, სიცივემ და მარტოობამ დაისადგურა ჩვენს ხალხმრავალ და ხმაურიან სახლში. შენი ყურადღებით და მზრუნველობით გათამამებულ- განებივრებული მეუღლე დატოვე 81 წლის ასაკში მარტოდმარტო. შენ ხომ ყოველთვის მზრუნველი, მოსიყვარულე, თბილი, ხალისიანი, სიცოხცხლით სავსე მეუღლე, დედა და ბებია იყავი.

16 ივნისს 80 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ვაი, რომ აღარ დაგცალდა ლამაზი დღეების გატარება ჩვენთან ერთად. ნეტავ იცოდე, როგორ უსაშველოდ გვენატრები ყველას. შენ ხომ ჩვენი ოჯახების შემაკავშირებელი უდიდესი ძალა იყავი. როგორ გვინდოდა, დიდხანს გეცოცხლა, კიდევ ბევრჯერ მოგფერებოდით და ჩაგხუტებოდით ჩვენო ლამაზო, მომთმენო, ყველასათვის მოამაგე, თავდადებულო და თავმდაბალო დედიკო.

დედა, შენი ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები ყოველთვის გაგინათებს სასუფევლის გზას. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. მშვიდად განისვენოს შენმა სულმა ცათა შინა.

მეუღლე ანზორი, შვილები: ფიქრია და მანანა, სიძეები, შვილიშვილები, მაზლი და რძალი- ფისო და რიმა, მაზლისშვილები მაკა და ეკა შანშიაშვილები.



## გიგა დათუკიშვილი

ენით აუწერელი ტკივილით, ცრემლებით და ყვავილებით გილოცავთ დაბადების დღეს. 17 ივნისს ხომ 24 წლის გახდებოდი. ძნელია, შენი მშობლების ნუგეში. გვენატრები, შვილო გიგა, ძალიან გვენატრები, თუ რას განვიცდით უშენოდ, ამის არც თქმა შემიძლია და არც დაწერა, გვიჭირს უშენობა, თვალებით ყველგან გეძებთ. გვინდა ვილაცაში დაგინახოთ და მოგეფეროთ. ...“რჩეულები ადრე კვდებიანო“- თქვა ერთმა დიდმა გენიოსმა, შენ იმ რჩეულებთან შედარებით უფრო ადრე წახვედი ამ ქვეყნიდან. 19 წელი იცოცხლე მხოლოდ. წუთისოფელი შენთვის წამზე ნაკლები აღმოჩნდა. არადა როგორ გიყვარდა სიცოცხლე, მწვერვალები გინდოდა დაგეპყრო, ჩქარობდი, ძალიან ჩქარობდი, რატომ არ უფრთხილდებოდი საკუთარ სიცოცხლეს!? ხშირად ამბობდი- „მე არავის არაფერს დავუშავებ და სხვა რაღას დამიშავებსო“,-მაგრამ ასე რომ არ მოხდა... შენი კეთილი გული ყველას სიყვარულს იტევდა, სიკეთით გქონდა სავსე თვალები, ისე წახვედი ამ ქვეყნიდან კაცობაში არ ჩაჭრილხარ, მეგობრებისთვის გვერდში დგომა სიამოვნებას განიჭებდა, უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი. ყველას ძალიან გვენატრები, ძნელია უშენობა,- იმქვეყნად ნახავო მეუბნებიან, განახავ კი?... ჩემო ჭკვიანო და ჯიუტო ბიჭო! ახლა ვდგავართ საფლავთან, ჩვენი დარდით,სევდით, წუხილით და გაუსაძლისი ტკივილით წელში ორად მოხრილები და დავყურებთ ჩვენი ბიჭების საფლავებს...

თქვენმა მშობლებმა მხოლოდ ერთი გზა დაიტოვეს-სახლსა და თქვენს საფლავებს შორის. შვილმკვდარი მშობლების სოცოცხლე ეს ხომ ტანჯვაა, ხოლო სასჯელი ჩვენი სიცოცხლე. ჩემო ბიჭებო! ვერავითარი დრო ვერ განკურნავს თქვენს მონატრებას! დრომ ვერ გვიშველა, ვერ შეახორცა ჩვენი მოუშუშებელი ჭრილობა. გიგა, 17 ივნისი შენი დაბადების დღეა, 24 წლის გახდები, მაგრამ შენ სულ 19 წლისა დარჩი ყველასთვის. 24 სანთლით ვდგავართ შენს საფლავთან, რომ გზა გაგინათოთ ზეციურ სასუფეველში.

**შენი მშობლები:**
ნაირა ყოჩიაშვილი,
ზურაბ დათუკიშვილი.

სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ თანამშრომლები იუწყებიან
მერაბ მაძღარაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

# საბავშვო კონკურსებში გამარჯვებულები დააჯილდოვეს

*„საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსები დასრულდა. პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერას გაზეთი „შირაქი“ ახორციელებდა. 11 ივნისს, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობის დარბაზში ამ პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მას მტაცებლების კონსერვაციის პროექტის კოორდინატორი ნინო მარკოზაშვილიც ესწრებოდა.*

ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფმა კონკურსი რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა და დედოფლისწყაროელ მოზარდებს აქტიურობისკენ მოუწოდა. გაირკვა, რომ მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც დედოფლისწყაროს, ისე მის სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებში.

როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, კონკურსის ფარგლებში მათთან დედოფლისწყაროელი მოზარდების მიერ მომზადებული 55 თემა და 15 ნახატი შევიდა.

მოსახლეობაში არსებული მცდარი წარმოდგენების შეცვლის მიზნით, „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტმა“ გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით: „შეცვალეთ ზღაპრის დასასრული“. კონკურსამდე ჩატარებული გამოკითხვის თანახმად გაირკვა, რომ მშობლები ბავშვებს ყველაზე ხშირად „კომბლეს“, „წითელქუდასა“ და „სამ გოჭს“ უყვებიან. საკონკურსოდ სწორედ ჩამოთვლილი ზღაპრები შეირჩა. კონკურსის მონაწილეებმა ამ ზღაპრებიდან აირჩიეს ერთ-ერთი და გადააკეთეს ისე, რომ მგელი არ იყო წარმოჩენილი, როგორც ცალსახად ბოროტი არსება და ზღაპარს ჰქონდა კეთილი დასასრული.

კონკურსის შედეგად შეირჩა თითოეული ზღაპრის თითო, საუკეთესო ვერსია, რომლებიც შემდგომ დაიბეჭდება ამავე პროექტის ფარგლებში გამოცემულ საბავშვო წიგნში.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული: დედოფლისწყაროს სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის მოსწავლე **სალომე თარაშვილი** („სამი გოჭი“), სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლე **თამარ ჯეთერიშვილი** („კომბლე“) და სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლეები **მარიამ ნაროზაული** და **ნინო პოპიაშვილი** („წითელქუდა“).

ზღაპრების კონკურსის შემდეგ გამოცხადდა ნახატების კონკურსი სახელწოდებით: „დავასურათოთ ზღაპრები“. კონკურსის მონაწილეები გაეცნენ შერჩეული ზღაპრების შინაარსს და მათ მიხედვით შეასრულეს ნახატები, რომელთაგან საუკეთესო ილუსტრაციები დაამშვენებენ საბავშვო წიგნს.

კონკურსის „დავასურათოთ ზღაპრები“ გამარჯვებულები არიან: **ხატია მამადაშვილი, სოსიკო ქაბაშვილი** (სამრეკლოს სკოლა), **სოსიკო და ნინო კიკილაშვილები** (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა) და გიორგი პოპიაშვილი (დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა).

გამარჯვებულებს საჩუქრად წიგნები და სიგელები გადაეცათ. გარდა ამისა, როგორც „ნაკრესის“ ადამიანისა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის თემთან კომუნიკაციის ოფიცერმა ნატო ყატაშვილმა განაცხადა, კონკურსის გამარჯვებულთათვის უახლოეს დღეებში მოეწყობა ექსკურსია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. კონკურსის დანარჩენ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები;



„გამარჯვებული ნამუშევრები იმის მიხედვით შეირჩა, რამდენად ორიგინალურად მოახერხეს ბავშვებმა დასასრულის შეცვლა. უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი“, რომლის უმთავრესი მიზანია საქართველოს სემიარიდული ლანდშაფტის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“ და ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია „ფაუნა და ფლორა“.

2010 წელს პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მტაცებლების მიმართ ხალხის წარმოდგენებისა და დამოკიდებულების შესწავლა. კვლევამ აჩვენა, რომ მგლების მიმართ ხალხის დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. საიდან მოდის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება მგლების მიმართ? ამ კითხვის პასუხს ზღაპრებში, მითებსა თუ ლეგენდებში ვპოულობთ, სადაც მგელი უმეტესად ხარბ და საშიშ ცხოველად არის გამოყვანილი. ბავშვები პირველ ინფორმაციას მგელთან დაკავშირებით სწორედ ზღაპრებიდან იღებენ. ამ დროს შექმნილი წარმოდგენა კი იმდენად მყარია, რომ ადამიანს ცხოვრების ბოლომდე შეიძლება გაყვეს,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ადამიანისა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელმა თემურ პოპიაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

---

## ულოცავენ!

### ირაკლი შიოლაშვილს!
### თამარ შაფათავას!

გილოცავთ ქორწინებას. ბედნიერება და ულევი სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები

* * *

გილოცავთ ქორწინების დღეს! გამრავლდით, ბედნიერებით აივსეთ და უფლის წყალობა არ მოგაკლებოდეთ.

ქ. დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ბესიკ ცისკარაული და თანამშრომლები.

* * *

გილოცავთ ოჯახის შექმნას. სიყვარულით ყოფილიყოს გაჯერებული თქვენი ცხოვრების ყოველი წუთი, რომელიც ოჯახური ულლის მსუბუქად ტარებაში დაგეხმარებათ. სიხარული და აკვანთა სიმრავლე დაგბედებოდეთ!

**სიყვარულით**
ვანო, ინგა, ირმა, ეთერ შიოლაშვილები, ქეთევან მუშკუდიანი

---

## ულოცავენ!

### ლევან მარტყოფლიშვილს!
### თაკო ბეგაშვილს!



ლევან და თაკო, გილოცავთ ქორწინებას!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდ სიყვარულს, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა და ასე ლამაზად დააგვირგვინეთ.

ასეთივე სიყვარული გაგყოლოდეთ ცხოვრების მანძილზე და ღვთის მფარველობა დაგბედებოდეთ! აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

იხარეთ და იმრავლეთ!

პატივისცემით: ილია, ირაკლი, შალვა, გიორგი, იულია და შოთიკო მარტყოფლიშვილები

---

### ტარიელ ნატროშვილს!

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს! გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, გახარებას და გამრავლებას შენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

**დიდი სიყვარულით და პატივისცემით** მეუღლე მზია; შვილები: ნატა, ნონა, ნათია; სიძე ნოდარ სამადაშვილი.

---

# დასუფთავების აქცია ოზაანის ამაღლებაში

12 ივნისს, სოფელ ოზაანში, ამაღლების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოეწყო დასუფთავების აქცია, რომლის ინიციატორი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული კლუბი - „გორდა“ გახლდათ.



როგორც კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტმა ახალგაზრდობის საკითხებში ლელა ბილიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, აქციაში მონაწილეობდნენ სოფლების - ოზაანის, სამრეკლოს და დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლების მოსწავლეები.



„მადლობას ვუხდით სოფელ ოზაანის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულს - გელა ოზაშვილს, ამაღლების ეკლესიის მცველს - ილია მეხრიშვილს და საპატრიარქოს ტყის მცველს-ბიჭიკო ბეგიაშვილს,“ - აცხადებენ კულტურისა და სპორტის ცენტრში.

13 ივნისს ოზაანის ამაღლების ტაძარში ამაღლებას ზეიმობენ. იმავე დღეს პარაკლისი გადაიხადა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა.

მოწესრიგდა ტაძრამდე მისასვლელი გზაც, რომელიც მანამდე ამორტიზებული იყო და მომლოცველებს ტაძრამდე მისვლა უჭირდათ.

---


## განცხადება

2013 წლის 7 აგვისტოს 11 საათზე, ქ. დედოფლისწყაროში (საწარმოს ტერიტორიაზე), მოეწყობა შპს „ture“-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის — „კირქვის ნედლეულიდან კირის მიღების ქარხნის“ გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს კირქვის ნედლეულიდან კირის მიღება გამოწვის მეთოდით.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:
**ქ. დედოფლისწყაროში, საწარმოს ტერიტორიაზე. ტელ: 599 71-27-27; 593 62-79-92.**

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 2 აგვისტო.

ადმინისტრაცია შპს “ture”



## იყიდება!

ორსართულიანი, კეთილმოწყობილი (ცენტრალურ კანალიზაციაში ჩართული) საცხოვრებელი სახლი ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, **მისამართი:** 9 ძმის ქუჩა N6. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით:

598 47 56 21


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 17.06 | | სამშაბათი 18.06 | | ოთხშაბათი 19.06 | | ხუთშაბათი 20.06 | | პარასკევი 21.06 | | შაბათი 22.06 | | კვირა 23.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 23 ° | 21 ° | 22 ° | 21 ° | 22 ° | 20 ° | 21 ° | 18 ° | 28 ° | 19 ° | 22 ° | 21 ° | 21 ° | 20 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K